„სსრ კავშირის მოქალაქეს აქვს დასვენების უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს... აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება“.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 39-ე მუხლიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 73 (6384)

18 1979 წ. აპრილი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„მინდა შევიცნო“...

ერთმა მეცნიერმა ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ „80-ანი წლების მიჯნაზე მოხდება უმძლავრესი ტურისტული აფეთქება, ნამდვილი „ტურისტული რევოლუცია“. როგორც ჩანს, ეს იქნება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა“. მეცნიერი ამას რომ აცხადებდა, რა თქმა უნდა გულისხმობდა ტექნიკის სწრაფ განვითარებას, ადამიანთა კულტურული დონის ამაღლებას და მათ სწრაფვას, რაც შეიძლება მეტი და მრავალმხრივი ცოდნის შეძენისთვის. მართლაც, 1978 წელს მარტო საბჭოთა კავშირში, როგორც ამ დღეებში გაზეთი „პრავდა“ წერდა, „ტურისტული მარშრუტით იმოგზაურა 28 მილიონზე მეტმა კაცმა“, ლაპარაკია მხოლოდ ორგანიზებულ ტურიზმზე. ეს რიცხვი, ცხადია, ორჯერ და სამჯერ მეტი იქნებოდა ე. წ. „არაორგანიზებული“ ტურიზმის „მიმდევრებიც“ რომ აღერიცხა ვინმეს. მაგრამ განა საინტერესო არ არის გავიგოთ, რა იყო თუნდაც ახლო წარსულში? ჩავიხედოთ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საიუბილეო კრებულში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა 1922-1972 წლებში“ და დავრწმუნდებით, რომ ჯერ კიდევ 1971 წელს საბჭოთა კავშირში სულ 8 მილიონი ტურისტი მიიღეს ტურისტულმა ბაზებმა და ბანაკებმა. და აი, პროგნოზიც: 80-ანი წლების დასაწყისში ტურისტთა რიცხვი სსრ კავშირში 100 მილიონს მიაღწევს.

დღეს ადამიანებისთვის არ არსებობს იმაზე დიდი გატაცება, ვიდრე ტურიზმია. ჩვენში ტურიზმი სპორტის ყველაზე მასობრივ, ყველასთვის ხელმისაწვდომ სახეობადაა აღიარებული. ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტიც, რომ ტურიზმი შეტანილია მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ხუთივე საფეხურის პროგრამაში. ვისაც 20-ანი წლების საქართველოს პრესა გადაუთვალიერებია, შენიშნავდა, რომ ტურიზმმა იმთავითვე ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვას.

„მინდა ვნახო, მინდა შევიცნო“ — ასეთია თანამედროვე ტურიზმის დევიზი. დღეს ტურიზმს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. როგორც ხედავთ, წინა პლანზე მაინც მისი საგანმანათლებლო მნიშვნელობაა წამოწეული. და რაკი ასეა, დიახაც ვალდებული ვართ უფრო სერიოზულად, მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ მის პერსპექტივას.

საქართველოს შემთხვევით როდი უწოდებენ ტურიზმის რესპუბლიკას. ეს გამოთქმა სპეციფიკური მნიშვნელობისაა. როცა საქართველოს ტურიზმზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება ისიც, რომ ჩვენ რეალური შესაძლებლობები გაგვაჩნია ტურიზმის ყველა სახეობის განვითარებისთვის. გარდა ამისა, ჯერ კიდევ უამრავი რეზერვია გამოუყენებელი.

ტურიზმი ყველა ასაკის ადამიანებისთვის ხელმისაწვდომია, მაგრამ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც მოზარდებისთვის ენიჭება. ცოდნის შეძენის კომპლექსში ტურიზმი უაღრესად საყურადღებო დამხმარე საშუალებაა. დევიზი — „მინდა ვნახო, მინდა შევიცნო“ — ვისთვის უნდა იყოს ესოდენ მრავლისმეტყველი, თუ არა მოზარდისთვის. ნორჩი თაობის სულიერი და ფიზიკური წრთობის გამაერთიანებელი კომპონენტები, ვფიქრობთ, სწორედ ტურიზმში უნდა ვეძიოთ.

ბავშვს უყვარს ბუნება, მშვენიერი მთები, ველ-მინდვრები, ტყეები და მდინარეები. ბუნებას ზღაპრული წარმოდგენიდან სინამდვილეში გადაჰყავს იგი. იხსნება იდუმალებათა სარკმელი, საიდანაც წარუშლელი შთაბეჭდილებები იჭრება მოზარდის გონებაში. 1979 წელი ბავშვის წელიწადადაა გამოცხადებული. ბავშვებისადმი მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის შეუნელებელი ყურადღება ტურისტულ მუშაობაშიც უნდა იგრძნობოდეს. მალე დადგება პიონერული ზაფხული. ბანაკებსა და დასასვენებელ სახლებს მიაშურებს ათასობით მოზარდი. უნდა ვიფიქროთ, რომ ტურიზმი, როგორც აღზრდისა და განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება, ღირსეულად დაიმკვიდრებს ადგილს ნორჩი თაობის დასვენების პროგრამაში.

საკითხი ახლა იმგვარად დგას, რომ სასწავლო პროგრამაც მჭიდროდ დაუკავშირდეს ტურიზმს. მაგრამ ეს კეთილშობილური საქმე წარმატებით მანამ არ დაგვირგვინდება, სანამ ტურიზმი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მხოლოდ ფიზკულტურის მასწავლებლის ანაბარაა მიტოვებული. მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ ითქვა და დაიწერა, ჯერ კიდევ იშვიათია შემთხვევა, როცა ფიზკულტურის მასწავლებელთან ერთად ტურისტულ ლაშქრობაში მოსწავლეებს მოჰყვებიან ბუნების, გეოგრაფიის, ისტორიის, ლიტერატურისა და სხვა საგნების მასწავლებლები, არადა, რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლიათ მათ, როგორ გააღრმავებდა და გააფართოვებდა მოსწავლეთა ცოდნასა და ჰორიზონტს ამგვარი მოგზაურობის დროს მასწავლებლის საუბარი.

ამ სამიოდე წლის წინათ თბილისის 147-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელმა ნ. ჩალაძემ ბუნების წიაღში ჩატარებულ გაკვეთილზე მიგვიწვია. სკოლა დიღმის საცხოვრებელ მასივშია. ეს გაკვეთილი პირველკლასელებთან ჩატარდა მასივის ტყეპარკში. პროგრამაში ფლორის გაცნობის გარდა მოძრავი გასართობი თამაშებიც იყო. მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, აგრეთვე, ბუნებაზე ლექსების თქმაში, ფიჩხისა და ყვავილების შეგროვებაში. დარწმუნებული ვართ, ამ ერთმა კომპლექსურმა გაკვეთილმა ბუნების წიაღში მოსწავლეებს უთუოდ გაუადვილა ბევრი საპროგრამო მასალის შესწავლა, გაუღრმავა ცოდნა. სხვა რომ არაფერი, ამგვარი ღონისძიებები ბავშვთა ჯანმრთელობისთვისაცაა საჭირო და აუცილებელი.

ჩვენს რესპუბლიკაში ალბათ შეუძლებელიცაა თუნდაც ერთი ისეთი სკოლა მოინახოს, პირდაპირ ჭიშკრიდან რომ არ იყოს შესაძლებელი ტურისტულ ბილიკზე დადგომა. მაგრამ ვამბობთ ამას და უმალვე გვახსენდება, რომ რაკილა „ტურისტულმა განათლებამ“ ჯერაც ვერ მიაღწია სასურველ დონეს, ამ ბილიკს ყველა როდი ამჩნევს. ხომ ფაქტია, რომ ტურისტულ საქართველოს სხვა უფრო უწევს პროპაგანდას და აფასებს, ვიდრე თავად ჩვენ. ბევრი ჩვენი თანამემამულის წარმოდგენაში ტურიზმის დანიშნულება, ბუნების წიაღში გასვლა ღრეობასთანაა გაიგივებული და რაღა თქმა უნდა, ამით ძალიან ცუდ მაგალითს ვაძლევთ შვილებს.

ახლა ჩვენში თანდათან ფეხს იკიდებს საოჯახო ტურიზმი, რომლის შემდგომი განვითარების შესახებ შარშან სპეციალური დადგენილება მიიღო საკავშირო პროფსაბჭომ. ტურისტული სექციები ბოლო ხანებში საცხოვრებელ კორპუსებშიც ყალიბდება და რამდენიმე ოჯახი ერთობლივად გადის „ჯანმრთელობის ბილიკებზე“. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ტურიზმი მასობრივი სპორტის სათავეა: ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს, როცა უმთავრესი ამოცანაა მასობრიობიდან საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურულ მოძრაობაზე გადასვლა. ტურიზმი ამ ამოცანის წარმატებით დაგვირგვინების ჩინებული სტიმულია. ეს სტიმული ყოველმხრივ უნდა გამოვიყენოთ.

თენგიზ გაჩეჩილაძე.

• • •

სვანეთის მარადთოვლიანი მთები, თვითმყოფადი არქიტექტურა, მდიდარი კულტურის ძეგლები, ტყეში ჩაკარგული ბილიკები თუ გიჟმაჟი მდინარეები და ჩანჩქერები მრავალ ტურისტს იზიდავს.

სურათებზე: სვანეთის მთებში.

ა. გურასაშვილის ფოტოები.

დედაქალაქის VII სპარტაკიადა

ფალავანთა კლუბის სარბიელზე

● კლასიკური ჭიდაობა

თბილისის VII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა პირველობას ფალავანთა კლუბმა უმასპინძლა. აქ „დინამოს“, „განთიადის“, „კოლმეურნის“, „სპარტაკის“, „ბურევესტნიკის“, „შრომითი რეზერვების“, „ლოკომოტივისა“ და არმიის სპორტული კლუბის 105-მა მოჭიდავემ მოიყარა თავი. მისასალმებელია, რომ დედაქალაქის თითქმის ყველა უძლიერესი ფალავანი გამოვიდა ხალიჩაზე. რესპუბლიკის ნაკრების წევრებისთვის ეს შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო. მწვრთნელებს საშუალება მიეცათ ლიდერთა მომზადება შეემოწმებინათ, ამასთან, პერსპექტიული მოჭიდავეებიც გამოეცადათ.

გუნდური პირველობისთვის ბრძოლა ძირითადად არმიის სპორტული კლუბის, „კოლმეურნისა“ და „განთიადის“ წარმომადგენლებს შორის გაჩაღდა. შეჯიბრების ფინიშამდე ძნელი გასარკვევი იყო, ვის დარჩებოდა საბოლოო გამარჯვება. ბოლო შეხვედრები კარგად ჩაატარეს არმიელმა სპორტსმენებმა და სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს, II ადგილზე განთიადელი ფალავნები გავიდნენ, III იყო „კოლმეურნის“ ნაკრები.

პირად შეჯიბრებაში მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონატების პრიზიორების ვ. ბლაგიძის, რ. აბრამიშვილის, ი. ბერიშვილის და მ. მაჭარაშვილის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. ასეც მოხდა — ამ სპორტსმენებმა თავიანთ წონით კატეგორიებში I ადგილები დაისაკუთრეს.

მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის „ოქროს“ ლაურეატი ვ. ბლაგიძე (52 კგ) 4-ჯერ გამოვიდა ხალიჩაზე და ყველა შეხვედრა ვადაზე ადრე დაამთავრა. ასევე დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს რ. აბრამიშვილმა (68), ა. აფრიამაშვილმა (74) და მ. სურმავამ (100). მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორს ი. ბერიშვილს (82) დიდი ხანია ტრავმა აწუხებს. როგორც ჩანს, იოსები თანდათან შედის ფორმაში. მან თავის წონაში ყველა კონკურენტი დაჯაბნა და I ადგილი დაიკავა.

მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ცნობილი ფალავნები შ. მორჩილაძე და ა. მაისურაძე. მეტოქენი ბრძოლის გამწვავებას მოერიდნენ, პასიურობდნენ და ორივეს წაგება ჩაეთვალა, მაგრამ წინა შეხვედრებში უკეთესი შედეგი ა. მაისურაძეს აღმოაჩნდა და I ადგილიც მას დარჩა. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ა. მაცაბერიძემ (62 კგ) და მ. სუქიაშვილმა (52).

გთავაზობთ ასპარეზობის ტექნიკურ შედეგებს:

48 კგ. ნ. მუჟიჩენკო („განთიადი“), ვ. ბარბაქაძე („შრომითი რეზერვები“), თ. დიასამიძე („სპარტაკი“);

52 კგ. ვ. ბლაგიძე („დინამო“), თ. ხატიაშვილი („კოლმეურნე“), გ. სუქიაშვილი („ლოკომოტივი“);

57 კგ. რ. გამბაროვი („კოლმეურნე“), ტ. სხირტლაძე („დინამო“), ა. ჯანჯღავა (ასკ);

62 კგ. მ. მაჭარაშვილი („კოლმეურნე“), ა. მაცაბერიძე, მ. გელაშვილი (ორივე — ასკ);

68 კგ. რ. აბრამიშვილი („დინამო“), ი. ცანავა („განთიადი“), ა. შევარდნაძე („სპარტაკი“);

74 კგ. ა. აფრიამაშვილი (ასკ), თ. ნინიკური („შრომითი რეზერვები“), თ. მარშანიშვილი („განთიადი“);

82 კგ. ი. ბერიშვილი (ასკ), დ. მახარაძე („დინამო“), ა. ტუღუში („ბურევესტნიკი“);

90 კგ. ვ. წიკლაური (ასკ), კ. ნინიძე („დინამო“), მ. მამფორია („განთიადი“).

100 კგ. მ. სურმავა („კოლმეურნე“), ნ. ბაბიაშვილი (ასკ), მ. ხაბურზანია („ბურევესტნიკი“).

მძიმე. ა. მაისურაძე (ასკ), შ. მორჩილაძე („დინამო“), ა. ჭელიძე („კოლმეურნე“).

ო. ჩხაიძე,
შეჯიბრების მთავარი მდივანი.

• • •

სურათზე: ნ. ბაბიაშვილის მეტოქე ტ. ერემეიშვილი კრიტიკულ მდგომარეობაშია.

ე. ხუცურაულის ფოტო.

● წყალბურთი

გამარჯვებით დაიწყეს

ბუქარესტი (საკდესი). საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდმა წყალბურთში გამარჯვებით დაიწყო რუმინეთის ქალაქ კლუჟ-ნაპოკაში საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც, აგრეთვე, მონაწილეობენ უნგრეთის, იტალიის, რუმინეთის (ორი ნაკრები) და იუგოსლავიის კოლექტივები. ჩვენმა წყალბურთელებმა დაამარცხეს იუგოსლაველი სპორტსმენები — 9:7.

პირველი დღის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: რუმინეთი — იტალია 7:3, უნგრეთი — რუმინეთი-2 5:3.

გვიხმობს მშობლიური მთა-ბარი

ტურისტის გვერდი

№ 1 (25)

გაზრდილი მასშტაბებით

პარზე მოგვადგა ტურისტული სეზონი. მრავალ ტურისტსა და ექსკურსანტს ანდამატივით იზიდავს ჩვენი რესპუბლიკის განუმეორებელი ბუნება, თოვლიანი მწვერვალები, ფიჭვნარითა თუ ნაძვნარით დაფარული მთა-გორები, თვალწარმტაცი შავი ზღვის სანაპირო...

ტურიზმთან დაკავშირებულ საკითხებზე „ლელოს“ კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯოხთაბერიძე.

— შარშან მილიონამდე ტურისტსა და 11 მილიონ ექსკურსანტს მოვემსახურეთ, რაც ერთი-ორად სჭარბობს წინა წლების დამსვენებელთა რაოდენობას. განზრახული გვაქვს ახალ სეზონში უფრო მეტ ტურისტს მოვემსახუროთ. ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთათვის მუდმივად იმუშავებს რამდენიმე ტურისტული მატარებელი, ხოლო ავიაჯგუფებს 4-5 საჰაერო რეისი მოემსახურება. მშრომელები ესტუმრებიან მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებს, რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებს. ტურისტების უკეთ მომსახურების მიზნით ტურბაზებთან ეწყობა სპორტული მოედნები, საცურაო აუზები. მიმდინარეობს სასტუმროების სწრაფი ტემპით შეკეთება — საამისოდ გამოყოფილია 4 მილიონი მანეთი. გარდა ამისა, აშენდება ტურისტული სასტუმროები სოხუმში, მცხეთაში, ბაკურიანში, ტურბაზა ავადხარაში და სხვა. ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციები იღწვიან მშრომელთა მომსახურების დონის ასამაღლებლად. ამჟამად საბჭო აერთიანებს 86 სამეურნეო ორგანიზაციას. ტურისტებისა და ექსკურსანტების მომსახურებისათვის შარშან გამოყოფილი იყო 54 მილიონი მანეთი. წლეულს ეს ციფრი საკმაოდ გაიზრდება. ყოველნაირად ვცდილობთ ვალში არ დავრჩეთ ტურიზმის მოყვარულთ.

● **რა ხელისშემშლელი პირობებია ტურისტთა მომსახურების სფეროში?**

— მიუხედავად გაწეული მუშაობისა, ტურისტებისა და ექსკურსანტების მომსახურების სფეროში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებებია, რომლებიც დროულად უნდა გამოსწორდეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ახლახან განიხილა საკითხი ტურისტული სეზონისთვის მზადებასთან დაკავშირებით და აღნიშნა მთელი რიგი ხარვეზი. მიეთითათ იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, რომლებიც თავიანთი მუშაობით ტურისტების მომსახურებასთან არიან დაკავშირებულნი. შარშან დარღვევებს ჰქონდა ადგილი ავტოსატრანსპორტო სამინისტროს მხრიდან. ზოგჯერ ტურისტებს აწვდიდნენ ნაკლებ კომფორტაბელურ ავტობუსებს, იყო ობიექტზე მისვლის დაგვიანების შემთხვევებიც. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო უნდა ეცადოს, რათა დროულად გამოგვიყოს ტურისტული მატარებლები. მუშაობის გაუმჯობესება მართებთ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის მუშაკებს. მათ დროულად უნდა უზრუნველყონ ტურისტები კვების პროდუქტებით, განსაკუთრებით კი ხილით, ბოსტნეულითა და რძის პროდუქტებით.

● **ამ დღეებში გაზეთი „პრავდა“ მოწინავე სტატიაში წერდა, რომ სამშენებლო ორგანიზაციები ხშირად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საქმეს და უხეიროდ ასრულებენ სამუშაოს...**

— სამართლიანი შენიშვნაა. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. მაგალითად, მე-2 სამშენებლო ტრესტმა ძალიან უხარისხოდ ააშენა სიღნაღისა და ფასანაურის ტურისტული სასტუმროები. დაუმთავრებელი დატოვა სპორტული მოედნების მშენებლობა, ეზოები კეთილმოუწყობელია. მე-2 სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლობის გამო მე-15 წელია შენდება ყაზბეგის ტურისტული სასტუმრო, ჭიანურდება ყაზბეგ-სამების საბაგირო გზის მშენებლობა. თბილისის ტურისტული სასტუმრო „ვაკე“, როგორც იტყვიან, გარედან მტერს უყენებს თვალს, შიგნიდან — მოყვარეს. სამშენებლო და სანტექნიკური სამუშაოები დაბალ დონეზეა შესრულებული, რის შედეგადაც შარშან ამ სასტუმროში უცხოელ ტურისტთა მიღებაზე უარი ვთქვით. სამუშაოები აქ ფაქტიურად ახლიდან უნდა ჩატარდეს, რაც იწვევს გაუთვალისწინებელ ხარჯებს. უხარისხოდ აშენდა ქუთაისისა და სოხუმის სასტუმროები. საჭირო ხდება ამ ობიექტების ნაადრევი კაპიტალური რემონტი. ზარალდება სახელმწიფოც და მშრომელებიც. „საკურორტსარემონტო მშენებლობის“ ორგანიზაციებს მივმართავთ თხოვნით, რომ თავის დროზე და ხარისხიანად შეასრულონ სამუშაოები ჩვენს ტურისტულ ბაზებში და სასტუმროებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი ექსკურსიამძღოლის მომზადების დონე ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ამიტომ კარგი იქნება თუ იმ უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები, რომლებიც ამზადებენ კადრებს ტურისტული მომსახურების სფეროსათვის, მეტ ყურადღებას დაუთმობენ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

● **რა სიახლეები იქნება ექსკურსიამძღოლების მომზადების საქმეში?**

— წელს, როგორც შარშან, იმოქმედებს სპეციალური სკოლა-სემინარი, სადაც კვალიფიკაციას აიმაღლებენ ექსკურსიამძღოლები, საფუძვლიანად გადახალისდება საექსკურსიო ტექსტები. ამას გარდა, ზაფხულის პერიოდში დახმარებას გაგვიწევენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები და მათი სტუდენტები იმსახურებენ ინსტრუქტორებად ტურისტულ ბაზებში, ზოგიერთი მათგანი კი ექსკურსიამძღოლობასაც გაუწევს ტურისტებსა და ექსკურსანტებს.

● **შარშანდელი მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის რესპუბლიკურმა საბჭომ ზედიზედ მეხუთედ დაისაკუთრა საკავშირო პროფსაბჭოსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების გარდამავალი წითელი დროშა...**

— დიახ, ეს ჩვენი კოლექტივის უდავო წარმატებაა. საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა სოხუმის კომკავშირის XV ყრილობის სახელობის ტურისტული ბაზა, თვრამეტმა ტურისტულ-საექსკურსიო ორგანიზაციამ კი საკავშირო პროფსაბჭოსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების დიპლომები და საპატიო სიგელები დაიმსახურა. მიღწეული წარმატებები დიდია, მაგრამ იგი დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს. ჩვენი კოლექტივის წინაშე გაზრდილი ამოცანები დგას და უფრო მეტი ენერგიითა და მონდომებით განვაგრძობთ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მოვალეობა კი მეტად საპასუხისმგებლოა.

● **რა მდგომარეობაა რესპუბლიკაში ტურიზმის რეკლამის მხრივ?**

— ჩვენი რესპუბლიკა ტურისტთა გამტარიანობით ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა მთელს საბჭოთა კავშირში. ყოველწლიურად ინტენსიურად იზრდება სტუმართა რაოდენობა და ტურიზმის მასშტაბები, ფართოვდება და იხვეწება თვითმოქმედ ტურისტთა მომსახურება. ყოველივე ამაში, ცხადია, დიდ როლს თამაშობს ტურისტული რეკლამა. დიდ დახმარებას გვიწევს კინოსტუდიაში შექმნილი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები, რომლებიც მაყურებელს აცნობს ჩვენი რესპუბლიკის ტურისტულ მარშრუტებსა და თვალწარმტაც ბუნებას. რეგულარულად გამოდის ბუკლეტები, ტურისტული რუკები. ამჟამად მომზადებულია და უახლოეს ხანებში გაყიდვაში გამოვა მაღალი გემოვნებით შესრულებული საქართველოს ტურისტული რუკა. იგი დახმარებას გაუწევს როგორც უცხოელ, ისე საბჭოთა ტურისტებსა და ექსკურსანტებს. ერთი სიტყვით, ბევრი რამ კეთდება ამ მიმართებით, მაგრამ, ვფიქრობ, რეზერვი ამოწურული როდი გვაქვს...

● **1980 წლის ივლის-აგვისტოში საქართველოს ესტუმრებიან მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების სტუმრები. საინტერესოა, როგორ ემზადებით მათ დასახვედრად?**

— ოლიმპიელებს უმასპინძლებს თბილისის ტურისტული სასტუმრო „ვაკე“, გორისა და ქუთაისის კემპინგები, სოხუმის კომკავშირის XV ყრილობის სახელობის ტურისტული ბაზა და სასტუმრო „სოხუმი“. დრო საკმარისია იმისათვის, რომ საფუძვლიანად მოვემზადოთ სტუმრების დასახვედრად და უნაკლოდ მომსახურებისათვის. ყოველნაირად ვცდილობთ არ გავაწბილოთ ჩვენი საპატიო სტუმრები.

● **როგორია ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს გეგმები?**

— სკკპ XXV ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია ჩვენს რესპუბლიკაში შავი ზღვის სანაპიროზე და მთიან რაიონებში ტურისტული ობიექტების მშენებლობის გაფართოება. ჩვენი მუშაობაც სწორედ აქეთ იქნება წარმართული. ამჟამად მიმდინარეობს 5 ტურისტული ობიექტის მშენებლობა. იგი გათვალისწინებულია 2400 ადგილზე. უახლოეს ხანებში დაიწყება 3000-ადგილიანი ტურისტული კომპლექსის მშენებლობა ქობულეთში, 2500-ადგილიანისა — გაგრაში და 1000-ადგილიანის — თბილისში. ტურისტული სასტუმროები აიგება რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში და საკურორტო ზონებში. ავტოტურისტების უკეთ მომსახურების მიზნით მიმდინარეობს რესპუბლიკაში არსებული კემპინგების შეკეთება. ფინური აბანოები უკვე მოეწყო ფასანაურში, ბაკურიანში, ქუთაისში. წლეულს აღდგება მარშრუტი ცენტრალური კავკასიონის უღელტეხილზე: ბეჩო — დონღუზორუნი — ტვიბერზე გავლით მესტიამდე, ხოლო იქიდან — შავიზღვისპირეთისკენ. 1980 წელს დაგეგმილი გვაქვს გავხსნათ ახალი მარშრუტი ორჯონიკიძე — ყაზბეგი — ფასანაური — თბილისი — გორი — ქუთაისი — გაგრა. მიმდინარეობს ტურისტული მეურნეობების კეთილმოწყობა...

საუბარი ჩაიწერა
ა. ბუთურიშვილმა.

გირჩევთ, თქვენც ნახოთ

თბილისის შემოგარენში მრავალი შესანიშნავი ადგილია, სადაც ერთდღიანი ტურისტული ლაშქრობის ჩატარება შეიძლება. ასეთი მარშრუტებია, მაგალითად, ლისი—წოდორეთი და გლდანი — ვეჯინი — მამკოდა. ამ ადგილებს უქმე დღეებში ბევრი აქტიური დასვენების მოყვარული ეტანება, მაგრამ კიდევ უფრო მეტი არ იცნობს, ან თითქმის არ იცნობს ამ მიდამოებს.

● ლისი — წოდორეთი

თბილისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამანქანო და საბაგირო გზებს ლისის ტბისკენ მივყავართ. სამანქანო გზით ქალაქიდან ტბამდე ხუთიოდე კილომეტრია.

ლისის ტბასთან ახლოს არის სოფელი თხინვალი, დასავლეთით, სამ კილომეტრზე — ზემო და ქვემო ლისი. სოფელ ქვემო ლისში პატარა ეკლესიის ნანგრევებია, რომელიც მშენებლობის ტექნიკისა და ცალკეული ფრაგმენტების მიხედვით XIII-XIV საუკუნეებს მიეკუთვნება. ზემო ლისთან, გზის პირას, წმინდა გიორგის ეკლესიის ნაშთია, სადაც იატაკში თარხან-მოურავთა საგვარეულო საფლავის ფილებია ჩატანებული.

ქვემო ლისიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით სოფელი წოდორეთი მდებარეობს. აქ შესანიშნავი ჰავაა, ქალაქთან მისი სიახლოვე მრავალ დამსვენებელსა და მოგზაურობის მოყვარულს იზიდავს. გაზაფხულზე წოდორეთის მიდამოები იფარება იებით, ყოჩივარდებითა და სხვა ყვავილებით. თვითონ სოფელი კი ხეხილის ბაღებშია ჩაფლული, ჭარბობს კაკლის ხეები. წოდორეთიდან ჩრდილო-დასავლეთით გზა ტყეში, მდინარე დიღმის წყლის ხეობაში ეშვება. გზის მახლობლად სოფელი ძაღლაანთკარია. ძველ წისქვილთან ბილიკი ეკლესიამდე მიდის. ესაა მაჩხანის ეკლესია, ერთ-ერთი დათარიღებული ძეგლი, რომელიც არაბთა ბატონობის დროს არის აშენებული. ამაზე მეტყველებს ასომთავრული და არაბული წარწერები.

კარგია სოფელი ზევრეთიც. მას წიწვოვანი ტყე ამშვენებს. სოფელი თბილისიდან 18 კილომეტრით არის დაშორებული.

● გლდანი — ვეჯინი — მამკოდა

ავჭალის გზატკეცილიდან, თიანეთის მიმართულებით სამანქანო გზა გლდანის ახალ დასახლებას ჩაუვლის და მდინარე გლდანის, ანუ ლელუბნის ხევში სოფელში შედის. ესაა გლდანი, შესანიშნავი დასასვენებელი ადგილი. გლდანის დასავლეთით, თიანეთის გზატკეცილის მარცხნივ, „ჯოხთნის ხევის“ გასაყართან, იწყება მეორე ხევი, რომელიც „ვეჯინის“ სახელით არის ცნობილი. ეს ადგილი გარდა თავისი ბუნებრივი პირობებისა, ხუროთმოძღვრული ძეგლებითაც გამოირჩევა. ფოთლოვანი ტყით დაფარულ მთის ფერდობზე არის სასახლე. იგი ვეჯინის ხევის დასაწყისიდან ნახევარ კილომეტრზე მდებარეობს. დადგენილია, რომ მთელი ეს კომპლექსი VIII-IX საუკუნეს განეკუთვნება. გადმოცემით კახეთში, სოფელ ვეჯინის მცხოვრებთა წინაპრები აქედან არიან გადასახლებულნი. ვეჯინის ხევით საგურამო-იალნოს ქედზე შეიძლება ასვლა.

ვეჯინის ხევი მოგზაურობის მოყვარულთათვის შესანიშნავ საბანაკო ადგილს წარმოადგენს. აქ არის კარგი სასმელი წყალი, ბუნების წიაღში გასვლა შეიძლება მოეწყოს ღამისთევით.

თიანეთის გზაზე, სოფელ მამკოდადან კარგად მოჩანს მთაზე წამომართული XVIII-XIX საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი — მამკოდას მონასტერი. მისასვლელი ახალი სამანქანო გზა მდინარის გაღმა მთის ფერდობს მიუყვება.

იქიდან, საიდანაც სამანქანო გზა მდინარეს გადალახავს და მონასტრისკენ მიმავალ აღმართს შეუყვება, იწყება სამამულო ომში დაღუპულ თბილისელ მეომართა ხსოვნის „მამკოდის“ მემორიალური ტყე-პარკი.

ამ ტყე-პარკის კეთილმოწყობა არც თუ ისე დიდი ხანია რაც დაიწყეს.

პარკი იწყება ახლადაშენებული საბრძოლო კოშკით, რომელსაც გალავანი აქვს გარშემორტყმული. იქვეა წყლის წისქვილი. არყის ხეებისგან მოწყობილ „ბეწვის ხიდს“ ხევზე გადავყავართ. იქ აღუმართავთ დეკორატიული ხეები, რომლებსაც ტოტები, როგორც მკლავები, ზეცისკენ ვედრებასავით აღუპყრიათ. „მკლავებზე“ ზარებია დაკიდებული. ეს ყველაფერი დიდი სამამულო ომიდან შინმოუსვლელ გმირებს გვახსენებს. ხეები თითქოს მოგვიწოდებენ, ომი აღარ უნდა განმეორდესო. ხეების შორიახლოს თითქმის უკვე დამთავრებულია სპორტული მოედნების მოწყობა.

ზემოთ, მთის ფერდობზე ახლადაშენებული სათვალთვალო კოშკია. უფრო ზემოთ კი, მამკოდის ტაძრის მიდამოები. მოწყობილია ერთგვარი მუზეუმი ღია ცის ქვეშ. აქ არის ფაცხა, ბელელი, ნალია...

ერთი სიტყვით, მშვენიერი, შთამბეჭდავი ადგილებია. გირჩევთ, თქვენც ნახოთ ყოველივე ეს.

დ. გოზალიშვილი.



სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს ფეხბურთში სსრ კავშირის 42-ე ჩემპიონატის IV ტურის ტექნიკური შედეგები.

„ტორპედო" — „ჩერნომორეცი" 0:0. მატჩი გაიმართა სოჭში.

დუბლიორები — 1:1.

„სპარტაკი" — „ფახთაქორი" 1:1. მატჩი გაიმართა ქ. სტახანოვში. ანგარიში 32-ე წუთზე გახსნა მოსკოველმა რომანცევმა, მაგრამ ისაკოვმა სულ მალე აღადგინა თანაფარდობა.

დუბლიორები — 1:1.

ასკ (როსტოვი) — „არარატი" 0:0.

გაფრთხილებული არიან როსტოველები გონჩაროვი, კურიატნიკოვი და ერევნელი თათევოსიანი.

დუბლიორები — 2:0.

„დინამო" მ. — „ზარია" 0:0. მატჩი შედგა ვოროშილოვგრადში, მასპინძლებად ითვლებოდნენ მოსკოველები.

დუბლიორები — 0:2.

„დინამო" მნ. — „დინამო" კ. 0:0.

გაფრთხილებული არიან კიეველი ხაპსალისი და მინსკელი კურნენინი.

დუბლიორები — 3:0.

ცსკა — „ქაირათი" 4:0. მატჩი შედგა კიშინიოვში. პირველი ტაიმის დასასრულს ბურთი საკუთარ კარში ჩაჰრა ალმაათელმა ბაიშაკოვმა. შესვენების შემდეგ კი ჩესნოკოვმა სამჯერ აიღო „ქაირათის" კარი.

დუბლიორები — 3:0.

„კრილია სოვეტოვი" — „ნეფთჩი" 0:1. ბურთი მე-6 წუთზე გაიტანა აბასოვმა.

დუბლიორთა მატჩი არ შემდგარა.

„ლოკომოტივი" — „შახტიორი" 1:1. მატჩი შედგა სოჭში. პირველ ტაიმში ბურთი გაიტანა დონეცკელმა სტარუხინმა, 59-ე წუთზე კი ანგარიში გაათანაბრა პეტრაკოვმა.

გაფრთხილებულია რუდაკოვი („შახტიორი").

დუბლიორები — 2:0.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირებს სათავეში უდგანან ვ. სტარუხინი („შახტიორი") და ი. ჩესნოკოვი (ცსკა), რომლებმაც გაიტანეს 4-4 ბურთი. ვ. გუცაევის („დინამო", თბილისი), ნ. ფედორენკოს („შახტიორი") და ვ. ჩურკინის („ფახთაქორი") ანგარიშზეა 3-3 გოლი.

გათამაშების ცხრილი
უმაღლესი ლიგა
დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 18 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნეფთჩი"	3	3	0	0	4—0	6
„ფახთაქორი"	4	2	2	0	5—1	6
„დინამო" თბ.	4	2	1	1	13—6	5
„ზარია"	4	2	1	1	8—6	5
ასკ რ.	4	2	1	1	6—1	5
„ქაირათი"	4	2	1	1	3—3	5
„ჩერნომორ."	4	1	3	0	3—2	5
„ზენიტი"	4	2	0	2	8—7	4
„არარატი"	4	2	0	2	5—4	4
ცსკა	4	1	2	1	4—2	4
„სპარტაკი"	4	1	2	1	4—5	4
„ლოკომოტ."	4	1	1	2	4—12	3
„შახტიორი"	4	1	1	2	2—4	3
„დინამო" მ.	4	1	1	2	1—3	3
„დინამო" მნ.	4	1	0	3	5—6	2
„დინამო" კ.	4	0	2	2	2—6	2
„ტორპედო"	4	0	1	3	1—7	1
„კრ. სოვეტ."	3	0	1	2	0—5	1

გვესაუბრება გუნდის ექიმი

ფეხბურთის მოყვარულები, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალს თბილისის „დინამოს" გამოსვლებს მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში, შეშფოთებული არიან იმით, რომ გუნდს საპასუხისმგებლო მატჩებში გამოსვლა უხდება რამდენიმე ძირითადი მოთამაშის გარეშე, მათ აინტერესებთ იმ ფეხბურთელთა მდგომარეობა, რომლებმაც სხვადასხვა დროს მიიღეს ტრავმები ან იავადმყოფეს.

რედაქციაში მრავლად შემოდის წერილები შეკითხვებით — რა მდგომარეობაში არიან ტრავმირებული მოთამაშეები, როდის დაუბრუნდებიან ისინი მინდორს?

ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი დაუკავშირდა გუნდის ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს ზ. თელიას, რომელმაც შემდეგი მოგვითხრო:

— ტრავმირებულ მოთამაშეთა რიცხვი ჩვენს გუნდში, მართლაც, საკმარისზე მეტია, ამასთან ესაა გუნდის წამყვანი, ძირითადი ძალა. დაზიანებათა საერთო რაოდენობის მეტი წილი შედეგია მატჩების დროს ჩვენი სპორტული მეტოქეების ტლანქი თამაშისა, რის გამოც გუნდს ხშირად შესუსტებული შემადგენლობით, შემცვლელი მოთამაშეებით უხდება მინდორზე გამოსვლა.

„რა მდგომარეობაა სადღეისოდ ჩვენს „ჰოსპიტალში?"

მეკარე დ. გოგიას ჰქონდა მაჯის სახსრის მოტეხილობა, ხანგრძლივად მკურნალობდა და ახლა გამოჯანმრთელდა. იგი შეუდგა ვარჯიშს და მალე ითამაშებს კიდეც.

თ. კოსტავას აქვს მცირე წვივის ძვლის მოტეხილობა კოჭ-წვივის სახსრის ამოვარდნილობით. იგი ჰოსპიტალიზებულია თაბაშირში ჩასმული ფეხით. კოსტავას განკურნებას, ვფიქრობ, დაჭირდება 3-4 თვე.

ფ. კანთელაძემ მიიღო ტრავმა ბარძაყის არეში, კუნთის გაწყვეტით. იგი სულ მალე დაიწყებს ვარჯიშს.

დ. ყიფიანს ჰქონდა კოჭ-წვივის სახსრის დაზიანება. იგი ვარჯიშობს ინდივიდუალურად, უახლოეს ხანში ჩადგება მწყობრში.

ი. რუხაძეს ჰქონდა წვივის ორივე ძვლის მოტეხილობა, ხანგრძლივად მკურნალობდა. იგი ახლა უკვე შეუდგა ვარჯიშს, ორიოდე თვის შემდეგ გამოვა სათამაშოდ.

თ. სულაქველიძე ავად გახდა და გამოვიდა მწყობრიდან. იგი ამ დღეებში უკვე შეუდგა ვარჯიშს.

II ლიგა

IV ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დილა"	2	2	0	0	7—0	4
„ყარაბახი"	2	2	0	0	4—2	4
„პროგრესი"	2	2	0	0	3—0	4
„შირაკი"	2	2	0	0	3—0	4
„დინამო" ს.	2	2	0	0	3—1	4
„კოტაიკი"	2	2	0	0	3—1	4
„დინამო" ბ.	2	2	0	0	2—0	4
„გურია"	2	1	1	0	5—3	3
ფიზკ. ინსტ.	2	1	1	0	4—3	3
„ავტომობ."	2	1	1	0	3—2	3
„არაზი"	2	1	0	1	3—4	2
„დინამო" ზ.	2	1	0	1	2—1	2
„ლოკომოტ."	2	1	0	1	2—2	2
„გაზოვიკი"	2	1	0	1	1—1	2
„ხაზარი"	2	1	0	1	1—1	2
„ზენიტი"	2	0	1	1	1—2	1
„დინამო" კრ.	2	0	0	2	2—4	0
„კოლხეთი"	2	0	0	2	1—3	0
„ურალეცი"	2	0	0	2	1—3	0
„ტორპედო"	2	0	0	2	1—4	0
„დრუჟბა"	2	0	0	2	1—4	0
„გასტელო"	2	0	0	2	0—3	0
„რუბინი"	2	0	0	2	0—3	0
„ტურბინა"	2	0	0	2	0—6	0

ევროპის ფეხბურთის ამბები

როგორც ფეხბურთის სტატისტიკოსები აღნიშნავენ, ევროპის ქვეყნების ჩემპიონატებში ყველაზე მაღალი შედეგიანობა აღინიშნება ლუქსემბურგში. აქ თითოეულ მატჩში საშუალოდ 3,57 გოლი გააქვთ. შემდეგ მოდიან ჩრ. ირლანდია (3,34 გოლი), გფრ (3,31), დანია (3,27), შვეიცარია (3,11), გდრ (3,02).

პარიზი. ფეხბურთის სპეციალისტების, მწვრთნელთა და მოთამაშეთა დიდ ინტერესს იწვევს შვედური ფირმის აპარატი „სმეკაბი", რომელიც ახლა ინგლისსა და საფრანგეთში გადის გამოცდას. „მწვრთნელი-ავტომატი", ანუ კატაპულტა, რომელიც აღჭურვილია ელექტრონული მოწყობილობითა და დისტანციური მართვით, ბურთებს ტყორცნის სხვადასხვა მიმართულებით უდიდესი სიზუსტით, სხვადასხვა სიხშირითა და ძალით. ეს აპარატი გამოიყენება მეკარეთა ვარჯიშისთვის, კუთხური და საჯარიმო დარტყმების გათამაშებისა და გადაცემების შემუშავებისთვის და ა. შ. (საქდესი).

განახლებული „ტრე კრუნური"

ჩვენი ნაკრების მეტოქე

ისეთი გამოცდილი გუნდისთვის, როგორიც „ტრე კრუნური" („სამი გვირგვინი", შვეციის ნაკრების ემბლემა) გახლავთ, არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგები (ფრე ბრაზილიელებთან — 1:1, წაგებები ავსტრიელებთან — 0:1 და ესპანელებთან — 0:1) დიდ მარცხად ჩაითვალა. ყველაფერზე, რა თქმა უნდა, პასუხი მწვრთნელს უნდა ეგო და, აი შვეციის ფეხბურთის ფედერაციამ მოისმინა გეორგ ერიქსონის ანგარიში. მის მოწინააღმდეგეებს წინასწარ ჰყავდათ კიდეც შერჩეული ერიქსონის შემცვლელები (წარსულში განთქმული ფეხბურთელები ა. სიმონსონი და ო. კინდვალი), მაგრამ მწვრთნელი მაინც გადარჩა. შვედმა ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ერიქსონმა ყვლაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო. მან სულ უკანასკნელ მომენტში მიიღო წამყვან ფეხბურთელთა დიდი ჯგუფი (ისინი საზღვარგარეთის კლუბებში გამოდიან), იყო სხვა ობიექტური მიზეზებიც. ერიქსონს უფლებამოსილება 1978 წლის მიწურულში გაუვიდა, მაგრამ იანვარში შვეციის ფეხბურთის ფედერაციამ მას კიდევ ორწლიანი კონტრაქტი დაუდო. 60 წლის ერიქსონმა მსოფლიო პირველობისთვის ერთგვარი „რევანში" ევროპის პირველობაზე უნდა აიღოს, ეს კი არ არის იოლი ამოცანა. ევროპის V შესარჩევ ჯგუფში (ლუქსემბურგელებზე არაფერს ვამბობთ) გამოდიან საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის ძლიერი კოლექტივები.

შვედებმა ევროპის პირველობაზე 2 მატჩი ჩაატარეს. პირველმა მათგანმა პარიზში (2:2) შვედი გულშემატკივრები დიდად გაამხნევა. „ტრე კრუნურმა" (ჰელსტრიომი, ბორგი, ნორდკვისტი, აამანი, არვიდსონი, ლინდეროტი, ლარსონი, ნორდგრენი, გრიონჰაგენი, შიობერგი, რომელიც მეორე ტაიმში ბერგრენმა შეცვალა, ვენდტი) შესანიშნავად იბრძოლა. ბურთები გაიტანეს ნორდგრენმა და ლარსონმა. მატჩის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს სწორედ შვედები იქნებოდნენ ფინალში გასვლის მთავარი პრეტენდენტები. ეს შთაბეჭდილება შეიცვალა მას შემდეგ, რაც მეორე მატჩში შვედებმა სტოკჰოლმში სუსტად ითამაშეს და დამარცხდნენ ჩეხოსლოვაკიელებთან—1:3, ამასთან გუნდის შემადგენლობაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

ასეა თუ ისე, შვეციის ნაკრები არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა და მხოლოდ ლუქსემბურგელებს უსწრებს. რა თქმა უნდა, ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის, ამიტომ ერიქსონი ესწრება მეტოქეთა მატჩებს და ემზადება მორიგი შეხვედრისთვის (6 ივნისს სტოკჰოლმში ლუქსემბურგელებთან). რაც შეეხება შვედების პრინციპულ მატჩებს ფრანგებთან და ჩეხოსლოვაკიელებთან, ისინი შემოდგომისთვისაა დანიშნული.

ეროვნული ჩემპიონატი შვეციაში აპრილში იწყება და ნოემბრამდე მიმდინარეობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა ნაკრების ფეხბურთელთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ შეიძლება არ იყოს საბრძოლო ფორმაში. მაგრამ, ვიმეორებთ, მხოლოდ ერთი ნაწილი. საქმე ის არის, რომ ნაკრების ფეხბურთელთა ბირთვი გამოდის არა შვეციაში, არამედ საზღვარგარეთის სხვადასხვა კლუბებში (გფრ-ის ბუნდესლიგაში, შვეიცარიაში, საუდის არაბეთში). მათ, ცხადია, ამ მომენტისთვის უკვე დიდი სათამაშო პრაქტიკა აქვთ. იგივე ითქმის ცნობილ კლუბ „მალმოს" მოთამაშეებზე — ეს კლუბი ხომ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გავიდა.

მატჩი თბილისში შვეციის ნაკრებისთვის პირველია მიმდინარე სეზონში. მას ერიქსონი, ცხადია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მით უმეტეს, რომ გუნდს საკმაო პრობლემები აქვს გადასაჭრელი. „ტრე კრუნური" საკმაოდ გადახალისდა.

შვედებს ყოველთვის ჰყავდათ და ახლაც ჰყავთ საიმედო მეკარეები. ნაკრების პირველი მეკარე ჰელსტრიომი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კარის დარაჯია. მსოფლიოს ორ უკანასკნელ ჩემპიონატში იგი, შეიძლება ითქვას, უნაკლოდ თამაშობდა. ჰელსტრიომის საბრძოლო მზადყოფნა ახლაც ძალიან მაღალია. იგი თამაშობს გფრ-ის ბუნდესლიგის ლიდერ „კაიზერსლაუტერნში", იქაური მიმომხილველები მას ერთხმად აქებენ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ტრე კრუნურის" მიერ შარშან ჩატარებულ 10 მატჩში კარს ცხრაჯერ სწორედ ჰელსტრიომი იცავდა (მათ შორის მსოფლიოსა და ევროპის პირველობათა 5 მატჩში), ერთხელ კი მინდორზე გამოვიდა მისი დუბლიორი ჰაგბერგი (ეს მატჩი დანიელებთან შვედებმა კოპენჰაგენში წააგეს — 1:2). გარდა ჰაგბერგისა ჰელსტრიომს კიდევ ჰყავს ერთი შემცვლელი. ესაა „მალმოს" ძლიერი მეკარე მიოლერი, რომლის თამაშს ჩვენი ტელემაყურებლები თვალს ადევნებდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე კიევის „დინამოსთან".

დაცვაში და შუა ხაზზე ბოლო ხანებში საკმაო ცვლილებები მოხდა. ნაკრების კაპიტანმა, 36 წლის ცენტრალურმა მცველმა ნორდკვისტმა განაცხადა, რომ ეთხოვება „ტრე კრუნურს" (შეიძლება, ეს გადაწყვეტილება საბოლოო არ იყოს) და ახლა აშშ-ს ლიგაში თამაშობს. ძნელი სათქმელია, როგორი იქნება შვედების დაცვა ნორდკვისტის გარეშე, ვინაიდან შარშანდელი 10 მატჩიდან იგი ცხრაში მონაწილეობდა და დაცვის ნამდვილი ბურჯიც იყო. ზოგი მიმომხილველი მიიჩნევს, რომ მის ფუნქციებს იკისრებს 21 წლის აამანი, მეორე ცენტრალური მცველი კი იქნება ფრიად გამოცდილი ანდერსონი, სწორედ ის, ვინც განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში ნორდკვისტის პარტნიორი იყო. განაპირა მცველებად თამაშობენ ბორგი (მარჯვნივ) და არვიდსონი, რომელსაც ვეტერან ერლანდსონს ამჯობინებენ.

ცნობილმა ნახევარმცველმა ბ. ლარსონმა, რომელიც 34 წლისაა, გამოაცხადა, რომ წყვეტს გამოსვლებს ნაკრებში. იგივე ითქმის ლარსონის თანაკლუბელზე „მალმოდან" ტაპერზე, თუმცა ორივე ფეხბურთელი წარმატებით გამოდის თავის გუნდში. შუა ხაზზე ახალი ფიგურაა ნორდგრენი, რომელმაც ადრე ყურადღება მიიპყრო ქვეყნის ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში. ერიქსონი საზღვარგარეთიდან უხმობს ხოლმე ძალზე ძლიერ ნახევარმცველებს ტორსტენსონსა და ლინდეროტს.

წინა ხაზზე შვედებს რამდენიმე ცნობილი ოსტატი ჰყავთ. მათ შორის ყველაზე გამოცდილია ახოვანი ცენტრალური თავდამსხმელი ედსტრიომი, რომელმაც თავისი საუკეთესო წლები ჰოლანდიის „ეინდჰოვენში" გაატარა. იგი უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატშიც მონაწილეობდა, თუმცა ხშირად აქვს ტრავმები.

დიდი შედეგიანობით გამოირჩევა ვენდტი, რომელიც შარშანდელი 10 მატჩიდან თამაშობდა ცხრაში. ვენდტი მეკარე ჰელსტრიომთან ერთად გამოდის „კაიზერსლაუტერნში" და ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შედეგიანი ფორვარდია. შიობერგი, რომელმაც ყურადღება მიიპყრო მსოფლიო ჩემპიონატში, საუდის არაბეთში გადაბარგდა, მაგრამ ნაკრების მატჩებისთვის შინ იხმობენ ხოლმე, ამ სამ ვარსკვლავთან ერთად ნაკრებში გამოდიან, აგრეთვე, თავდამსხმელები ბერგგრენი, გრიონჰაგენი და ოლსონი.

თქმა არ უნდა, „ტრე კრუნურის" გაცნობა თბილისელთათვის საინტერესო უნდა გამოდგეს, ამ გუნდს ხომ დიდი პრესტიჟი აქვს საერთაშორისო ფეხბურთის სამყაროში.

გ. თორელი.

„იმედის სტარტები"

ველით ფინალის მონაწილეებს

დასასრულს უახლოვდება მიმდინარე სასწავლო წელი. სკოლები აჯამებენ ჩატარებული მუშაობის შედეგებს. ფინიშის სწორზე გავიდა „მიდასასკოლო შეჯიბრებები. 10 მაისს დაიწყება რაიონული და საქალაქო ასპარეზობები სკოლებში გამარჯვებულ კლასებს შორის მოზარდთა ყველაზე მასობრივი შეჯიბრების — „იმედის სტარტების" მეოთხე რესპუბლიკურ ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. 20 მაისისთვის ყველა რაიონი და ქალაქი რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო მეთოდურ ცენტრში წარმოადგენს განაცხადს რაიონში, ქალაქში IV-V და VI-VII კლასებს შორის გამარჯვებულ კოლექტივებზე და რაიონის, ქალაქის ჩემპიონებზე, „იმედის სტარტების" პროგრამის ცალკეულ სახეობებში და მრავალჭიდში. 28 მაისს კი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართება საუკეთესო კლასებისა და პირად პირველობაში გამარჯვებულთა ასპარეზობა.

შეჯიბრების პროგრამა მრავალფეროვანია. IV-V კლასების მოსწავლეები ისპარეზებენ 30 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომაში, 150-გრამიანი ბურთის ტყორცნაში, 25 მეტრზე ცურვაში, გეზრბენში (გოგონები 300 და ბიჭები 500 მეტრზე) ღერძზე მიზიდვაში (ბიჭები) და ბაგირზე ცოცვაში (გოგონები), აგრეთვე, კომბინირებულ ესტაფეტაში და ტანვარჯიშულ გამოსვლაში.

VI-VII კლასების მოსწავლეები კი ერთმანეთს შეეჯიბრებიან 60 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომაში, 150-გრამიანი ბურთის ტყორცნაში, 50 მეტრზე ცურვაში, გეზრბენში (გოგონები 500 და ბიჭები 800 მეტრზე), ღერძზე მიზიდვაში (ბიჭები), წოლბჯენში მკლავების მოხრასა და გამართვაში (გოგონები), პნევმატური თოფით სროლაში დგომელა მდგომარეობიდან საყრდენის გამოყენებით (ამოსამიზნი „პ"), კომბინირებულ ესტაფეტაში და ტანვარჯიშულ გამოსვლაში.

ასპარეზობა ჩატარდება ცალ-ცალკე ქალაქისა და სოფლის სკოლების კლასებს შორის. ჩათვლაში შევა პროგრამის ცალკეულ სახეობებში ნაჩვენები 10-10 საუკეთესო შედეგი.

ფინალში გამარჯვებული კლასები ისპარეზებენ საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც პიონერულ ბანაკ „არტეკში" გაიმართება.

მ. მეძღლიშვილი,

საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო მეთოდური ცენტრის სასკოლო განყოფილების გამგე.

● ჭადრაკი

კვლავ პორტიში

მოჭადრაკე ვაჟთა მონრეალის საერთაშორისო ტურნირის V ტურში ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი უნგრელი ლ. პორტიში და მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი. შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა დაამარცხა ბ. ლარსენი (დანია). ეს დანიელი მოჭადრაკის მეოთხე წაგებაა. რ. ჰიუბნერმა (გფრ) შავებით სძლია ლ. კავალეკს (აშშ). მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბ. სპასკიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ვ. ჰორტთან (ჩეხოსლოვაკია). ასეთივე შედეგით დამთავრდა ი. ტიმან (ჰოლანდია) — ლ. ლიუბოევიჩის (იუგოსლავია) შეხვედრა.

ხუთი ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობს პორტიში — 4 ქულა. 3,5 ქულა აქვს ტალსა და კარპოვს. მესამე ადგილზეა ჰიუბნერი — 3.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, ხოლო დღეს შედგება მორიგი, VI ტური.

ლიდერობს თამაზ გიორგაძე

გფრ-ის ქალაქ დორტმუნდში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი. მეექვსე ტურში თამაზ გიორგაძემ დაამარცხა ინგლისელი ე. მაილსი და 5 ქულა აქვს. მას ქულით ჩამორჩება ინგლისელი ჯ. ნანი.

მოკლედ

ბანია-ლუკა. იუგოსლავიის ამ ქალაქში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც კვლავ ლიდერობს 16 წლის ბაქოელი ჰ. კასპაროვი. IV ტურში მან დაამარცხა კუბელი დიდოსტატი ერნანდესი და 3,5 ქულა აქვს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა 2 ქულა დააგროვა.

ბოგოტა. კოლუმბიის დედაქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში შვიდი ტურის შემდეგ ლიდერობს ჯ. ტარიანი (აშშ) — 6 ქულა. ლვოველ დიდოსტატს ა. ბელიავსკის 1 ქულით ნაკლები აქვს, მაგრამ მან პარტიით ნაკლები ითამაშა.

ლოძი. პოლონეთის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 3 ტურის შემდეგ ლიდერობენ რიგელი ი. პეტკევიჩი და პოლონელი ვ. შინცელი — 2,5 ქულა თითოეულს. მორიგ ტურში პეტკევიჩმა მოუგო ფილიპინელ დიდოსტატს რ. ბალინასს.

ზალაეგერსეგი. უნგრეთის ამ ქალაქში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ზონალური ტურნირი. პირველ ჯგუფში წინ არიან პორუბსკი, ვერეცი (ორივე — უნგრეთი) და შმაჩინსკა (პოლონეთი), რომელთაც 4 ქულა აქვთ 6 ტურის შემდეგ. II ჯგუფში დაწინაურდნენ უნგრელები ივანკა და მაკაი — 4,5 ქულა თითოეულს.

ერთდროულად აქ მიმდინარეობს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 14 მოჭადრაკე მონაწილეობს. რვა ტურის შემდეგ 6 ქულით (1 გადადებული პარტიით) ლიდერობს უნგრელი ლ. ვადასი.

●

კანდიდატია გოჩა თორია

ლენინგრადში დაიწყო შესარჩევი ტურნირი 17 წლის ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე. 12 მონაწილეს შორის არის ზუგდიდელი ოსტატობის კანდიდატი, 15 წლის გოჩა თორია. სამი ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ლენინგრადელი ვ. სალოვი, კიეველი ვ. სერგეევი, მოსკოველი ა. სოკოლოვი და სემიპალატინსკელი ტ. ხასანოვი — 2,5 ქულა თითოეულს.

ერთი საგზურისთვის

თბილისის ოფიცერთა სამხედრო სახლში დაიწყო „განთიადის" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ვაჟთა პირადი პირველობა. მასში ორი ოსტატი და 10 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობს. სამწუხაროდ, სასპარეზოდ არ ჩამოვიდნენ ქუთაისელი და რუსთაველი მოჭადრაკეები. შეჯიბრებამ უნდა დაასახელოს სსრ კავშირის პირველობის მასობრივი ტურნირის ერთი მონაწილე.

I ტურში ოსტატმა ზ. სტურუამ მოუგო ე. კუშიანს, გ. მალალაშვილმა — მ. ჭიპაშვილს. ყაიმით დამთავრდა ვ. კაბაჯიან — გ. კალატოზიშვილის შეხვედრა. დანარჩენი პარტიები გადაიდო

II ტურში ზ. თანდაშვილმა დაამარცხა კალატოზიშვილი, კუშიანმა — კ. კაბაჯიანი, ოსტატმა ი. ჩიქოვანმა — ა. რაბადანოვი. ყაიმით დამთავრდა სტურუა — ვ. კაბაჯიანისა და ჭიპაშვილ — ს. კიკილაშვილის შეხვედრები.

III ტურში თანდაშვილმა მოუგო ჩიქოვანს, ჭიპაშვილმა — რაბადანოვს, მალალაშვილმა — კუშიანს, კალატოზიშვილმა — სტურუას. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

IV ტურში სტურუამ სძლია კ. კაბაჯიანს, მალალაშვილმა — ვ. კაბაჯიანს, ჭიპაშვილმა — თანდაშვილს, მაჭარაშვილმა — რაბადანოვს, კიკილაშვილმა — კუშიანს. ყაიმით დამთავრდა კალატოზიშვილ — ჩიქოვანის შეხვედრა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას თანდაშვილმა გაიმარჯვა რაბადანოვთან. ყაიმით დასრულდა კიკილაშვილ — ჩიქოვანისა და მაჭარაშვილის შეხვედრები კ. კაბაჯიანთან, მალალაშვილთან და კიკილაშვილთან.

V ტურში კ. კაბაჯიანმა დაამარცხა კალატოზიშვილი, ვ. კაბაჯიანმა — კიკილაშვილი, რაბადანოვმა — კუშიანი, ჩიქოვანმა — ჭიპაშვილი. ყაიმი აღინიშნა თანდაშვილ — მაჭარაშვილის შეხვედრაში. ერთი პარტია გადაიდო.

5 ტურის შემდეგ ლიდერობს მალალაშვილი — 4 ქულა. 3-3 ქულა მოაგროვეს ჩიქოვანმა და მაჭარაშვილმა.

შეჯიბრება გრძელდება.

ო. ალხანიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

● მშვილდოსნობა

ვისაც მტკიცე ნერვები აქვს...

— **ცხადია,** თბილისური ამინდით მონაწილენი კმაყოფილი არ იქნებით. მართლაც, სიცივე, წვიმა, ქარი, რომლის სიძლიერე დღეს წამში 15-25 მეტრს აღწევდა, მაღალი შედეგებისთვის ვერაფერი კომპონენტებია, მაგრამ მე პირადად ვთვლი, რომ ასეთი რთული გამოცდა სპარტაკიადისა და, განსაკუთრებით, ოლიმპიადის წინ, აუცილებელი იყო. მოსკოვში, კრილატსკოეზე, სადაც სასპარტაკიადო და საოლიმპიადო შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს, ასეთი ქარია მოსალოდნელი და ახლავე სჯობს იმგვარ პირობებს აქედან შეეჩვიოთ... — უთხრა შეჯიბრების საზეიმო დახურვაზე თავშეყრილ სპორტსმენებს საკავშირო სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელმა მშვილდოსნობაში გ. გორდიენკომ.

მართლაც, გუშინწინ თბილისში კი გამოიდარა, მაგრამ იმდენად ძლიერი ქარი ქროდა, რომ შეჯიბრება საათნახევრით შეწყდა — მსაჯებს, მომსახურე პერსონალს როგორმე ფარები რომ დაემაგრებინათ. სპორტსმენთა უმეტესობას ფეხზე დგომა უჭირდა. სამიზნისაკენ მიმართული მშვილდიანი ხელის თუნდაც რამდენიმე წამით გაჩერება, პირდაპირ შეუძლებელი იყო.

და მაინც, შეჯიბრება დამთავრდა. ამჯერად უპირატესობა მათ მხარეზე იყო, ვისაც ყველაზე მეტად დაჭიმული მშვილდი ჰქონდა. ამგვარი იარაღით გატყორცნილ ისრებს ქარი იმდენ გადახრას ველარ უხერხებდა.

...ბოლო, მეოთხე დღის წინ ქალთა შეჯიბრებაში დუშანბელი ზ. რუსტამოვა 13 ქულით ასწრებდა თბილისელ ქ. ლოსაბერიძეს. ეს ოსტატები რეკომენდაციებს არ საჭიროებენ. ორივე საკმაოდ გამოცდილი და ტიტულოვანი მშვილდოსანია. ორივე აქამდე სტაბილურად მოვიდა ისე, რომ „ყურადღებას არ აქცევდნენ" მეტოქეთა პერიოდულ აღზევებას. რუსტამოვამ ლიდერობა მეორე დღესვე დაისაკუთრა, ლოსაბერიძეს კი პირველი დისტანციის X ადგილიდან მდგომარეობის გამოსწორებისთვის მძაფრი ბრძოლა მოუხდა და სამი დღის მერე იგი უკვე მეორე იყო.

ბოლო ორ დისტანციაზე შეჯიბრება ძლიერ ქარში მიმდინარეობდა. ეტყობა რუსტამოვას ძალა და ტექნიკა არ ეყო, საგრძნობი უპირატესობა შეენარჩუნებინა: სამი დღის მანძილზე მონაპოვარი გაზაფხულის თოვლივით შემოადნა და, როცა მონაწილეებმა 50 მეტრიდან ბრძოლა დაამთავრეს, ლოსაბერიძე უკვე ერთპიროვნული ლიდერი იყო.

ბოლო, 30 მეტრზე შეჯიბრება გადამწყვეტი გამოდგა. მოხდა ისე, რომ ქეთევანმა მის უნებურად ერთი ისარი მეზობელ ფარში ტყორცნა, ეს დიდი დანაკლისი გახლდათ იმ პირობებში, როცა ისრები არავის ემორჩილებოდა, როცა ქარს შედეგებში ასე დიდი კორექტივები შეჰქონდა, მაგრამ წესი წესია, ლოსაბერიძემ „გაქცეული" ისრით სულ ცოტა 8-9 ქულა მაინც დაკარგა და საბოლოოდ მ-2 ვარჯიშის ჯამში II ადგილს დასჯერდა. მას ირკუტსკელმა ლ. შიკოტამ აჯობა, იმ შიკოტამ, რომელმაც 50+50 მეტრზე იმდენივე ქულა მოაგროვა, რამდენიც ქეთევანმა (539). ამ პერიოდისთვის თბილისელი საერთაშორისო კლასის ოსტატი მეტოქეს საკმაოდ უსწრებდა. ირკუტსკელმა შესანიშნავად ჩაატარა 30 მეტრიდან ასპარეზობა და პირველობაც მოიგო. რუსტამოვა საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა.

ვაჟთა ასპარეზობაში შესაშური გამძლეობა გამოიჩინა ჩიტელმა 20 წლის ვ. ეშეევმა. მას თავიდან ბოლო დღემდე ხელიდან არ გაუშვია ლიდერობა, ძლიერ ქარშიც კი შეინარჩუნა უპირატესობა, და საბოლოოდ უახლოეს მეტოქეს 69 ქულით აჯობა. ოდესელ ი. ფაინშტეინს, რომელიც ბოლო ვარჯიშებამდე მეორე მიდიოდა და ეშეევთან 60 ქულას აგებდა, მძიმე მეტეოროლოგიურმა პირობებმა ყველაფერი წყალში ჩაუყარა. მას გაასწრეს ლვოველმა ვ. მიხაილენკომ და მინსკელმა ა. აულოვმაც. რას იზამ, შეჯიბრებებში იმარჯვებენ ისინი, ვინც ძალებს თანაბრად ანაწილებენ, რომლებიც ყოველგვარ პირობებს შეგუებულნი არიან.

ერთი თვის შემდეგ ქვეყნის უძლიერესნი თბილისის იპოდრომზე კვლავ შეგროვდებიან. როგორც სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. ბალოვმა თქვა, მაჩვენებლები გაცილებით უკეთესი იქნება, ვინაიდან მანამდე დარჩენილ 30 დღეს მშვილდოსნები ინტენსიური წვრთნისთვის გამოიყენებენ.

ტექნიკური შედეგები.

ქალები. 70+70 მ. ლ. ტოპოროვა (ბათუმი) — 552, გ. არხიპოვა (ჩიტა) — 552, ზ. რუსტამოვა (დუშანბე) — 551; **60+60 მ.** ა. შკრობი (კიშინიოვი) — 577, ე. სუიტსი (პიარნუ) — 575, ქ. ლოსაბერიძე (თბილისი) — 574; **50+50 მ.** ლოსაბერიძე — 539, ლ. შიკოტა (ირკუტსკი) — 539, გ. რიჟამაძე (თბილისი) — 528; **30+30 მ.** შიკოტა — 648, არხიპოვა — 637, ნ. ბუტუზოვა (ტაშკენტი) — 636; **მ-2.** შიკოტა — 2279, ლოსაბერიძე — 2277, ვ. კოვპანი (ლვოვი) — 2267.

ვაჟები. 90+90 მ. ვ. ეშეევი (ჩიტა) — 524, ვ. მიხაილენკო (ლვოვი) — 495, ა. აულოვი (მინსკი) — 493; **70+70 მ.** ი. ფაინშტეინი (ოდესა) — 576, ეშეევი — 574, ი. ვილკოვი (მინსკი) — 559; **50+50 მ.** ეშეევი — 588, ე. გლადიში (კიშინიოვი) — 574, მიხაილენკო — 572; **30+30 მ.** ი. მიგაჩოვი (ბაქო) — 660, აულოვი — (657), კ. ლევჩენკო (მახაჩყალა) — 645; **მ-2.** ეშეევი — 2325, მიხაილენკო — 2266, აულოვი — 2223.

ო. გელაშვილი.

• • •

სურათზე: შეჯიბრების პრიზიორები მარცხნიდან — ვ. ეშეევი, ლ. შიკოტა, ლ. ტოპოროვა და ნ. ბუტუზოვა.

ე. ხუცურაულის ფოტო.

მხიარული ფანქრით

უსიტყვოდ.

●

ა. ოქროპირიძის ნახატი.





თანაქალაქელთა წარმატება

ორი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა ლონდონში გამართულ მოცურავეთა დიდ საერთაშორისო ტურნირში. მსოფლიოს რეკორდსმენმა ქალთა შორის 200 მეტრზე ბრასით ცურვაში ვილნიუსელმა ლ. კაჩუშიტემ ყველას აჯობა 100-მეტრიან დისტანციაზე — 1.12,26. ბრასით ვაჟთა შორის 200 მეტრზე გაცურვა მოიგო ასევე ვილნიუსელმა რ. ჟულპამ — 2.21,94.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით უე 07088
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17.